

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება N11/ნ / N50

17 თებერვალი 2023 წ., 17 თებერვალი 2023 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსა და სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების კონტროლის ფარგლებში კოორდინირებული მუშაობის, ინფორმაციის გაცვლისა და აღსრულების რიგი ღონისძიებების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებთ:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული „სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსა და სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების კონტროლის ფარგლებში კოორდინირებული მუშაობის, ინფორმაციის გაცვლისა და აღსრულების რიგი ღონისძიებების განხორციელების წესი“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა,  
შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი